საკომუნიკაციო აქტების სიხშირე, ფორმა და ფუნქცია 1-დან 2 წლამდე ასაკის ბავშვებში

ანა მენაღარიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის, ენისა და მეტყველების თერაპიის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2023

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა მენაღარიშვილი

15 ივნისი 2023 წელი

სარჩევი

აბსტრაქტი----------3

საკვლევი საკითხი და კვლევის აქტუალურობა----------5

ლიტერატურის მიმოხილვა----------7

საკომუნიკაციო ფუნქცია----------8

საკომუნიკაციო ფორმა----------10

ენობრივი განვითარება----------12

საკომუნიკაციო აქტები----------15

საკომუნიკაციო პარტნიორის ინტერაქციული სტილი----------16

კვლევის მეთოდი----------23

შერჩევა---------- 23

კვლევის პროცედურა----------24

კვლევის დიზაინი და ცვლადები----------25

შედეგები----------26

საკომუნიკაციო ფორმა----------26

საკომუნიკაციო ფუნქცია----------32

საკომუნიკაციო ინტენციები----------36

საკომუნიკაციო პარტნიორის ინტერაქციული სტილი----------37

ლექსიკური მარაგი----------42

დისკუსია----------47

კვლევის შეზღუდვები----------57

დასკვნა----------58

გამოყენებული ლიტერატურა----------60

აბსტრაქტი

კომუნიკაცია ბავშვის დაბადების მომენტიდან წარმოადგენს წამყვან ფაქტორს ბავშვის კოგნიტური, ემოციური თუ სოციალური განვითარებისთვის. ბავშვის ცხოვრების პირველი ორი წელი კი განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს ამ პროცესში, რადგან სწორედ ამ დროს ბავშვის ქცევა ხდება მიზანმიმართული, გაზიარებული და იძენს გარკვეულ საკომუნიკაციო ფორმას. ბავშვის მიერ გაზიარებული ინფორმაცია მზრუნველის მხრიდან დეკოდირდება, ენიჭება მნიშვნელობა და ბავშვს უბრუნდება შესაბამისი პასუხი, რაც მას ააზრებინებს, რომ მის ქცევას აქვს შედეგი და მისი ინტერესები, სურვილები, მოთხოვნები გაზიარებული და გაგებულია სხვის მიერ. შესაბამისად, უჩნდება მოტივაცია იმისა, რომ დაამყაროს კომუნიკაცია უფრო ეფექტური საშუალებებით და გზებით.

კვლევის მიზანია განსაზღვროს ის საკომუნიკაციო ფორმები და ფუნქციები, რომელსაც ქართველი ბავშვები იყენებენ, ბუნებრივ გარემოში სანდო საკომუნიკაციო პარტნიორთან. ასევე დააზუსტოს წუთში გამოვლენილი ინტენციის გაზიარების სიხშირე 1-დან 2 წლამდე ასაკის ბავშვებში. კვლევა ჩატარდა ორი ბავშვის ვიდეო დღიურების დამუშავებით, სადაც აღწერილია მათი განვითარება თვეების მიხედვით. ვიდეოები დამუშავდა შერჩევითი, 3 თვიანი შუალედებით. 12, 15, 18, 21, 24 თვის ასაკში. ვიდეოებში მკვლევარი დააკვირდა ბავშვის და მისი პარტნიორის კომუნიკაციას, ურთიერთგაცვლას და გზებს, რომლითაც ეს გაცვლა და ჩართულობა ხორციელდებოდა. ასევე კვლევა ორიენტირდება საკომუნიკაციო პარტნიორის ინტერაქციის და საპასუხო სტილზე. ბავშვის მიმართ მის მიერ გაცემული ინსტრუქციების, კითხვების თუ პასუხების რაოდენობაზე, როგორც ბავშვის ლექსიკური მარაგის ზრდის ერთ-ერთ პრედიქტორზე.

კვლევის შედეგებმა გამოავლინდა მსგავსებები და განსხვავებები კვლევის ორ მონაწილეს შორის, საკომუნიკაციო ფორმების, ფუნქციების და ინტენციების გამოვლენასა და გამოყენებაში, ასევე აღწერა ბავშვების ლექსიკური მარაგის ასაკობრივი განვითარება და წარმოადგინა მსჯელობა იმაზე, რომ არსებობს კავშირი პარტნიორის მხრიდან გამოყენებულ ინტერაქციულ სტილს, გაცვლების რაოდენობას, მის მიერ გამოყენებულ ლექსიკონს და ბავშვის მიერ ათვისებული ლექსიკური მარაგის რაოდენობას შორის. ამ ცვლადებს შორის კავშირი კი ხაზს უსვამს სამომავლოდ საკითხის უფრო სიღრმისეული კვლევების საჭიროებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: **საკომუნიკაციო ფორმა, საკომუნიკაციო ფუნქცია, საკომუნიკაციო ინტენციები, საკომუნიკაციო პარტნიორი.**

Abstract

Communication plays the major factor in the development of child's cognitive, emotional and social abilities since the birth of the child**.** The first two years of their life plays the most important role in this process because that's the time when child's behavior becomes intentional, shared and acquires a certain form of communication. The information shared by the child is decoded by the caregiver, which assigns the meaning to it. The appropriate response returns to the child which makes him realize that his behavior has consequences and that his interest, wishes, demands are shared and understood by others. Accordingly, child gains the motivation to establish communication with more effective means and ways.

Study aims to determine the communication forms and functions used by Georgian children in natural environment with a reliable communicative partner. Also it determines the rate of intentions expressed per minute by the child between the ages from 12 to 24 months. Study was conducted by processing data from the video diaries of two children. Videos were processed at selective, 3-month intervals, at the ages of 12, 15, 18, 21 and 24 months. The researcher observed child's and partners communication, mutual exchange and the ways in which this exchange and engagement was carried out, in the videos.

The research also focuses on the communicative partner's interactional and responsive style. The number of instructions, questions, answers or comments given to the child as one of the predictors of the growth of child's vocabulary.

The results showcased the similarities and differencies between the two participants in expression and usage of communicational forms, functions and intentions. It also described development of children's vocabulary. And discussed the connection between partner's interactive style, the quantity of their verbal exchange and child's acquired vocabulary. The relatedness between this two variables underlines the need of further studies of this topic.

Key words: **communicative form, communicative function, communicative act, communicational partner**

საკვლევი საკითხი, კვლევის აქტუალურობა

კომუნიკაცია უკვე მრავალი წელია აქტიური კვლევის საგანს წარმოადგენს და ასევე მრავალი წელია შექმნილია ის ასაკობრივი ნორმები, რომლებიც აღწერს ბავშვების